

რევოლუციური მუზეუმი  
MUSEU REVOLUCIONARIO

ვაკი 10 ასა.



# ნიდალური




№ 22.

ერველგვირეული ქურნალი

1908 წ.

შესანიშნავი სურათები.



თბი, ფურნიეს ნახატი.

(„ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სამარადისოდ, შვილის შვილამდე!“)

უკარტიო კაცის აზრები.

უკანანი და წინანი...

ყოვილი კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, მოზრდილი თუ ბავშვი, რომელსაც უფლება აქვს იღაპარა კაცის და იღრტვინოს თვის უქმაყოფილებაზე, ნება უნებლიერ და ხშირ ად თვის დაუნებურად იმ რაზმში დგება, რომელშიაც მოთხოვნილებათა სალერლელი ძალზე აშლილია და პროტესტის გრძნობა უმთავრეს ძარღვს შეადგენს, მიუხედავათ იმისა თუ რავდენად მართებულია თვითონ ეგ მოთხოვნილება და შესაძლოა თუ არა მისი აღსრულება...

ამიტომ ხშირად ვინც არ დრტვინავს და არ ყვირის, ვინც ზოგჯერ უგნურ მოთხოვნათა ხორუში ხმას არ იღებს და ფუქსიან უნაყოფო პროტესტში არც მოძახილს და არც ბანს ამბობს, უმრავლესობის თვალში ჩამორჩენილ კაცად არის მიჩნეული, თუნდაც ამ „ჩამორჩენილ“ უმრავლესობის ბევრად წინ და ადრე გამოერკვიათ და ცხოვრების საგნად დაქსხათ საზოგადოებური მისწრაფება და მოთხოვნილებათა სამართლიანობა.

როდესაც ცხოვრებაში მყვირალა მოთხოვნილება უმრავლესობაზე შესაფერ ზედ გავლენას პოულობს და ყველა ერთხმად გაიძახის — პასუხი მალე ჩვენს დაყენებულ კითხვებზე და მოთხოვნილებაზე, ის მცირე ჯგუფი და ამ ჯგუფის საუკეთესო წინამდლოლნი, რომნებთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე საზოგადო ხასიათის მოთხოვნილებათა და კითხვათა გამოკვლევა-განხორციელებისათვის მოუნდომებიათ და დღე და ღამ ამ მოთხოვნილებათა მოციქულები ყოფილან, — უკანა რიგში არიან ხოლმე ჩაყენებულნი და, როგორც ზემოდ ვსთქვიო, მათ ჩამორჩენილებს ეძახიან; ხოლო ვისაც პირზე რჩე არ შეშრობია, ვინც არასოდეს არ დაფიქრებული და არც შეეძლო და არც ეხერხებოდა ფიქრი და სჯა საზოგადო ხასიათის მოთხოვნილებაზე, საერთო მისწარება-იდეალზე ზრუნვა და წუხილი, — ეს მყვირალა ვაჟბატონები პირველ რიგში არიან მოქცეულნი და თავიანთ თავს მოწინავესა და ბელადებს უწოდებენ...

ეგრე იყო ყოველოვის ყოველ მოძრაობის დროს.

მოლეაწერი, რომელნიც პატიოსნურად, შეუდრკელად, თავგამოდებით და უშიშრად მრავალ წელთა განმავლობაში იმის ცდასა და მზადებაში იყვნენ, რომ შეექმნათ ეგ მოძრაობა, შეუგნებელი უმრავლესობისათვის შესაფერი გზა და კვალი ეჩვენებინათ, მათვის უკეთესი მერმისი და ამ მერმისის მისაღწევად დღევანდელი გარემოებისათვის შესაფერი მოთხოვნილება წარედგინათ — ესეთი პირე-

ბი ჩამორჩენილებისა და რეტროგრადების რიცხვში არიან ჩათვლილნი, ხოლო არას მცუდაშეუცველები ნათლებელნი და უვიცნი ნაცარქეჭმულ უკიდურეს სისტებად და ლიდერებად იხსენებიან...

ვერაფერი სამართალია, ვერაფერი ლოლიკა!

ნუ თუ ბატონებო, „ამხანაგებო“ და ყმაწვილებო, დრო არ არის თვალი გაახილოთ, გამოერკვიოთ, გამოფხიზლდეთ და დაინახოთ თუ რა უკუღმართია თქვენი საქციელი, თქვენი დასკნა, თქვენი საქმენი?

უსამართლობის ნაყოფი მუდამ მწარეა და ურგები და, ისე წარმოიდგინეთ, მაწყენარიც.

უკირილით და ხმაურობით, მაღალ ფრაზებით და ბრჭყეიალა სიტყვების რახარუხით საღ რა გაკეთებულა, რომ ჩვენში გაკეთდეს.

გონს მოდით! დაფიქრდით!

უპარტიო.

### სისხლი... სიმაღლი!

(ვუძღვნი ი. ჭავჭავაძის ხსოვნას).

თოვლი ჩამოდის, მოდის ზღაზვნითა, კავკასიის მთა გათიშულია, ირგვლივ სიჩუმე... მკვდარი სიჩუმე, არც ხმაურობა, არც ძახილია!

მხოლოდ ამ დუშილს არღვევს ხანდისხან დედის გულიდამ ამონაკვესი, მშოქელმა შვილი უნდა იტიროს: თვითონ ბუნების ასეა წესი!

სტირის მშიერს შვილს დედა საწყალი, თვითონ მშიერი, ღონე მიხდილი, ახ, ღერთო ჩემო, კვლავ ბედშაობა, კვლავ საქართველოს სისხლი... სიმშილა!

ი. ევდოშვილი.

### გ უ რ დ ე ბ ი.

გშორდები, ტურფავ, ჩემო ვარსკვლავო, მკაცრი სევდები გულს მიქენჯნიან, — მზე და მოთვარე თითქო ბნელდება და ვარსკვლავებიც ცას ებნევიან... შენ იცი, ტურფავ, ველარა ვნახავ, თვალები მიტომ მეცრემლებიან და ნაღვლიანნი, მოუსვენარნი უკანასკნელად მაკერდებიან.

ჩემი ბაგენი შენს ტურფა ბაგეთ მარალის ადარ შეეხებიან, სიმართლის თქმისოვის მტრისგან დასჯილსა, უცხო მხარეში შემაკენებიან...

ი. მჭედლიშვილი.



## ჩიხური ანდაზები.

სჯობს სულაც არ არსებობდე, ვიდრე არა-  
ფერს არ წარმოადგენდე.

მონაციები—დილის ცისკარია სათნოებისა.

ყოველი მარცხი—მხოლოდ ბიჯია წარმატები-  
საკენ.

უმაღლესი კოშკებიც-კი დედაშიწაზე დგანან.

მამა-კაცს პერნია, რომ ყველაფერი ზედ მი-  
წევნით იცის, მაგრამ ის-კი ავრწყდება, რომ დედა-  
კაცმაც ყველაფერი იცის და უფრო უკეთესათ.

— აა აა —

## ოსმალური სიბრძნე.

—

საყველურით ვარდს ნუ ჰყნოს, ამჯობინე ნარ-ეკალი.

გააფორებული ლომი რომ მოგდევდეს და, ია-  
ვის გადარჩენისთვის, ერთად ერთი ხილი იყოს გა-  
დებული ცრუ-ვერაგი კაცისაგან, ნუ გახვალ! ლო-  
მისაგან დაგლეჯა სჯობს, ვინემც „ნამარდის“ გა-  
დებულ ხილით თავის გადარჩენა.

ონავარ—ღვართქაფა რომ მოგასწროს, წა-  
ლეჭვას გიქადდეს, მაინც ნუ შეეფარვი საფარველს  
მელა-ძუა კაცისას.

ნათარგმნი კ. რაბათელი სამცხელისა.

— აა აა —

## თავისუფალი სიტყვა.

ა მ ბ ა გ ი

(ცუძღვნი მაშოს ძვირფას სსოფნას).

— ენაცვალოს დედა!.. ნეტა თუ ქვეყანაზედ  
კიდევ ვისმეს ეყოლება ესრეთი ლამაზი, ჰკვიანი  
და მალხაზი შვილი?!—ამბობდა გრძნობა მორეუ-  
ლი დედა, გულში მაგრად იხუტავდა თავის ხუთი-  
ოდე წლის შვილს და გატაცებით ჰკოცნიდა მას,  
საღაც კი მოუტდებოდა: გულზედ, ხელებზედ, ფე-  
ხებზედ და ხან ყელშიც, როცა შვილოს გადაღუ-  
ნულ თავს უცბად მოასწრობდა.

— ხი, ხი, ხი!.. მეღიტინება! ვაი, ვაი, მო-  
გიკვდი, დედიჯან, მოგიკვდი!..—კასკისითვე უპა-  
სუხებდა შვილი მოალერს მშობელს, ფეხებს აქ-  
ნევდა, ტოკავდა და ფუნთუშა ხელებით სცდილო-  
ბდა დედის თავის აცილებას.

არამც ოუ დედას, უცხოსაც კი ერთი ნახი-  
ოვე შეუყვარდებოდა ეს მართლაც ყოველივე სი-  
კეთით უხვად დაჯილდოვებული ბალნა: ცოცხალი,  
მალხაზი, მიზიღველი, უუჯუნა, აზრიანი თვალე-  
ბით მორთულ სახისა, რომელსაც ფართო თეთრი  
შუბლი გადატკეცოდა და ზედ კეკლუცად გად-

მოჰყრდოდნენ ძალზედ დაკულულებული ეფექტურული  
მგონი მხოლოდ ფრთხი და აკლდა, ტრიტონის მიერ-  
ლად ზაგსახოდათ არა ქვეყნიური ქერუბიმთა!

ამ ბავშვის გონივრული მხარე უფრო მომჯა-  
ღოვებელი იყო, ვიდრე მისი გარეგანი შეხედულე-  
ბა. იმდენი ხანი არ ემატებოდა, რამდენათაც ფხი-  
ზელი მკვეთრი გონება, მოფიქრებული, დროს შე-  
საფერი სიტყვა-პასუხი. ჯერ ისევ ჭაბუკი იყო,  
რომ თვისი აზრიანი შეკითხვით ბევრს ჭალაროსანს  
ჩაფიქრებდა ხოლმე.

— მართალია, ძია,—შეეკითხებოდა ხოლმე ის  
ეინმე ხნიერს,—რომ უმფროსს უნდა გაუგონო და  
პატივი სცელ? იქმნება ჩემზედ უმფროსი, ან თუ  
ჩემი ბატონი, მავალებს კაცის მოკვლის, ან გაძარ-  
ცვას; იქმნება ჩემს უმფროსს ჩემი წვალება, ჩემი  
დამონავება უნდა? განა ყოველივე ბრძანება, ან  
სურვილი უნდა აღსრულდეს?!

— რატომ ეგრე ფიქრობ!.. განა უმფროსი...

დაიწყებდა ხოლმე უხერხულად მოპასუხე...

— რაც უნდა იყოს დამორჩილებას, მოთმინებას  
გვიბრძანებს ლმერთი, შეილო!..

— ლმერთოო?.. მერე განა ლმერთისვე ნება  
არ არის, ნუ მომჩენს ნურავის ჩემდა დასაბეჭავე-  
ბლად და მაშინ აღარც ჩემი მოთმინების გამოჩენა  
იქნება საჭირო!..

იმის ავათმყოფობამდე მისულ ცნობის მოყვა-  
რებას ვეღარ აქმაყოფილებდა მის გარშემო მყო-  
ფი ხალხი და ბუნება! იმას ყველგან უნდოდა ყო-  
ფნა, ყოველივეს ცოდნა-შესწავლა და ამასთანავე  
ბუნებით მჭერ-მეტყველი და ყბედიც,—იტანჯე-  
ბოდა, სული ყელში ეჩრებოდა, როცა უმრავლე-  
სობისთვის სასარგებლო აზრი რამ აღეძროდა და  
რამე მიზეზის გამო პირველ შემთხვევისთანავე ვერ  
იტყოდა, ვერ გაუზიარებდა და იმდონად მეტს კმა-  
ყოლებას გრძნობდა, რამდონათაც დიდ მანძილზედ  
მოსდებდა თვის, დიდი შრომით შეძენილს, ნაფიქრს.

— ნათქვამია, ღრერთი რომ კაცს მისცემს,  
ორივე ხელებით მისცემს,—ამბობდნენ ხოლმე  
მეზობლები,—პიტალო აზრია, მამაცხონებული,  
აზრიო,—და ამ სიტყვას ისრე ხშირად გაიძახოდ-  
ნენ, რომ იმის ნამდვილი სახელი აღარც კი ვი-  
მეს ახსოვდა და ყველა „აზრს“ ეძახოდა.

ამ ბუნებით კეთილმა და დაბეჭავებულთადმი  
თავდადებულმა არსებამ, რა თქმა უნდა, თვისკე  
მრავალი მიზიდული, რომელსაც ხშირად მიმართავდ-  
ნენ ხოლმე რჩევა-დახმარებისთვის.

— წამოდით აზრს შევეკითხოთ... ნეტა აზრი  
რა ჩემებას მოგვცემს... აზრმა ასრე დაგვარიგაო,  
—ხშირად მოისმოდა ხოლმე ხალხში. რაც დრო  
გადიოდა, იმდონი მეტი თანამგრძნობი და თაყვა-  
ნისმცემელი უჩნდებოდა აზრს, რომლის მოელი

შრომა-მუყაითობა მიმართული იყო დაბეხავებულ-  
ტანჯულის მშრომელთა უმრავლესობისაკენ.

მაგრამ, მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ბიჭიე-  
რი გრძნობა-შერი მგონი თვით კაცელაც უწინ  
არის დაბადებული...

შერმა ზოგისამ, და ზოგიც იმიტომ, რომ აზ-  
რის გულწრფელი, ბევრისთვის თვალ-ამხელი, მო-  
ქმედება ძილს უფრთხობდა და ასაღმებდა მოსვე-  
ნებულს, მუქთახორისავით სხვის შრომაზედ აშე-  
ნებულ, კეთილდღეობას,—დაუწყეს დევნა და ბეზ-  
ლობა. წყვდიადის მოტრფიალეთა ცდამ შესაფერი  
ნაყოფი მოიტანა.

ერთ დღეს, როცა აზრი თავ-შეყრილ, მრა-  
ვალ-რიცხვამ ხალხს თავის გულ-ნადებს უზიარე-  
ბდა, დაეცნენ მძლავრნი ამა ქვდყნისა და საპყრო-  
ბილეში გამოამწყვდის.

აზრს ეგონა, რომ თითქს მთელი დუნიაც  
ვიწრო იყო იმის სამოქმედოთ. და ის კი გალიაში  
ჩაკეტეს. აზრი რომ საპყრობილეში უზომოდ იტან-  
ჯებოდა და ბოლმა მორეული, ხელებ ფანჯრიდგან  
გამოწვდენილი, უიმედოთ თავს არტყავდა ფანჯ-  
რის რინებს,—ბნელი ძალები დამშვიდებით და  
ურცხვ ნიშნის მოგებით შეჰყურებდნენ და უსირ-  
ცხოთ ხითხითებდნენ...

აზრმა გული ვერაფრით მოუგო უველა იმათ,  
ვისაც ძალით ჩაუგდია ხალხის ბატონ-პატრონობა  
და ამიტომ დიდ-ხანს, ძალიან დიდ-ხანს იტანჯე-  
ბოდა ოთხ კედელ შეა. ბოლოს, როგორც იყო,  
ძალ-ლონის და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდის  
მაგიერ საპყრობილიდგან გამოუშვეს ძვალ-ტყავად  
ქცეული, წელში მოხრილი, თვალებ ჩაცვინული  
და მთლიად გაჭირარებული მოხუცი.

ელვასაებრ მოედო მთელ ნაცნობ არე-მარეს  
სანატრელი ხმა აზრის განთავისუფლებისა და ისი-  
ნიც კი, ვისაც მხოლოდ გადმოცემით ჰქონდათ  
გაგონილი, გულით ნატრობდნენ აზრის ნახვას.

ერთ დღეს კიდევ ხმა გავაიდა და მოედო კი-  
დით-კიდეს, რომ საღამოთი აზრი ილაპარაკებს ქა-  
ლაქის მოედანზედო. ამის გაგონებაზედ უველა  
მხრიდგან მდინარეებით დენა დაიწყო უველა ტან-  
ჯულმა და შველა-ხსნის მომლოდინმა. უზარ-მაზა-  
რი მინდორი და პატარი მახლობელი გორაკები  
ხალხით გაიჭედა. უველას რაღაც ქამაყოფილები და  
იმდი უბრწყინველა თვალებში. მინდორში ისრე-  
თი გამოურკვეველი გუგუნი იდგა, გეგონებოდათ  
ტყე ხშუისო...

ერთ შემაღლებულ კორდზედ გამოაჩნდა გრძელ  
და თეთრ თბა-წვერა ნაცნობი მოხუცი აზრი. წელ-  
ში წახრა აღარც კი ეტყობოდა; დიდრონი, მო-  
ელვარე, თანაგრძნობით და უზომო სიყვარულით  
სავსე თვალები გაბედულად გამოიყურებოდნენ...

— მებო, მეგობრებო, შვილებო!.. მაღალის,  
მაგრამ აკანკალებულის ხმით გადასძის ტან-  
ჯულმა და შედგა, წინ გამოწვდენილი ტან-  
ჯულმა რევე დარჩა. გული უტოკავდა, სულის სწრაფვა  
სიტყვებს უკავებდნენ...

— ჩემო კარგებო,—განაგრძო მან,—მადლი  
გამჩნის, რომ მრავალ წელს საპყრობილეში ტან-  
ჯვის შემდეგ, კიდევ მელირსა თქვენი ხილვა. მაგ-  
რამ განა მე ნება მავჭა ჩემ კერძო ტანჯვაზედ ვი-  
ლაპარაკო მაშინ, როცა უთვალავ ჩემივე მოძმის  
გმინვაა გარშემო! მე ხომ თქვენივე შობილი და  
აღზრული ვარ; მაშინადამე მე, თქვენივე ნაწილი,  
მხოლოდ მაშინ ვიგრძნობ შეებას, როცა ჩვენ,  
შეერთებული ძალით, მოვიპოვებთ საერთო კეთილ  
დღეობას.

ეხლა შეძლება მეძლევა გებაასოთ უფრო გულ  
ახთილათ, ვიდრე წინეთ, უფრო თამამად და დაუ-  
ფარავად, ვიდრე უწინ. ან კი რა ძალას შეუძლია  
ხმა ჩამიწყვიტოს და გამაჩურმოს ეხლა, როცა ამტრ-  
ნი შეგნებული დამცველი მეგულებით და უკველ-  
თვის შეგიძლიათ რინიანთ მოითხოვოთ თავისუფა-  
ლი სიტყვა. ძალას ძალავე იმორჩილებს, —სულ  
ერთია ფიზიკურია ეს ძალა, თუ სულიერი...

მე იქიდგან კარგათ ვხედავდი და შეუურ-  
ბოდა, როგორის გაბედულობით და გამეტებით  
ბევრი თქვენთაგანნი სცდილობდა ჩემ დახსნას,  
ჩემს განთავისუფლებას და როგორ ძირიათ უჯდე-  
ბოდათ ესრეთი პატიოსნური და მამაცური თავის  
განწირვა.

მე იქიდგან, ჩემს ჩაბნელებულს და ჩაკეტილს  
გალიიდგან კარგათ ვხედავდი თქვენს ყოფას,  
თქვენს დაბეხვებას, ვხედავდი თქვენს სისხლის  
მწოველებს, ადამიანობის გამქელთ; სული ყელში  
მეჩრებოდა, სიმწარისაგან თმის ვიგლეჯდი, ბრაზ-  
მორეული ვეხეთქებოდი ჩახავსებულ კედლებს,  
ვსტიროდი და ხმა მაღლა ვყვიროდი, —მინდოდა  
იქმნები როგორმე მოეწია ჩემს, თქვენდამი თა-  
ნიგრძნობის, ხმას, მაგრამ ამაოთ. საგანგებოთ  
ამართული სქელი კედლები კრინტს არ უშევებდნენ  
გარეთ.

ვინ არ იცის, ძებო, რომ უველა არსება  
ერთნაირად იბადება და თუ შრომობს, თუ სხვას  
კისერზედ არ შესკუპია, ყველას ერთნაირივე უფ-  
ლება უნდა ჰქონდეს დედამიწაზედ. ერთი არ უნ-  
და დაპატრონებოდეს მრუდე გზით შექუჩებულ და  
ჩაკეტილ სავსე საღილებს და მეორე, ამავე დროს,  
არ უნდა იყოს ლუკმა ჰქონის მონატრული. ერთი  
არ უნდა იყოს მარტოდ-მარტო წამოჭიმული უზარ-  
მაზარ შენობაში მაშინ, როცა მეორეს ქუჩაში სძი-  
ნავს ქოხის უქონლობისა გამო. ლუკმა პური იმას  
შეერგება და იმანვე უნდა სკამოს, ვისაც ამ ლუ-

ქმის შექმნაში ასე თუ ისე წილი უდევს, უშრომნია. სხვა ყველა კი, ვისაც შეუძლია და არ შრომობს,— ხორც-მეტია კაცობრიობის, ადგილი არა აქვს ამ ქვეყნად, მუქთა ხორაა: ის სხვის ნაშრომიდგან იპარავს ლუქმას, ხშირად ზედ-მეტ სარჩისაც უთავბოლოდ აბნევს, ფეხ-ქვეშა სთელავს და ამიტომაც, ეს ძალათ გამოგლეჯილი ლუქმა, ყველას აღარა ჰყოფნის და ბევრი ჩვენგანი მშიერია და ტანჯული. ხეზედ რომ ამოვა ხოლმე მუქთახორა ფიტრი, თვითონ მწვანეობ ლადლადი გაუდის, იფურჩქნება და ოთრ ყვავილებით იკაზმება, მაგრამ რომელ ხის წვენსაც სწორებს და იკვებება, ის ხე თანდა თან სჭინება და მალე სულ ხმება კიდეც. მებალეებმა ეს კარგათ იციან და შეამჩნევენ თუ არა ხოლმე ხეზედ ფიტრს, მოგლეჯენ და მიწას დაანარცხავენ ხოლმე.

— ხომ ყველას გინდათ, შეილებო, რომ პატიოსან შრომით მოპოვებული ლუქმა ყოველთვის გქონდეთ და არავინ გეცილებოდეთ?..

— როგორ არ გვინდა, შენ მადლსა, გვინდა!..— გაისმა ათასობით შეკრებილ ხალხის მძლავრი ხმა, რომელიც მედგარი ქუხილივით მოედო მინდოოს და მისწყდა შორს, სადღეც კილაში. .

— უქველია გვნდომებათ და ოქვენგანვეა დამოკიდებული, არამც თუ თქვენი უტანჯველი, უზრუნველ-ყოფილი და ადამიანური ცხოვრება, არამედ ყოფნა-არ ყოფნა იმათოც, ვინც თავზედ წამოგჯდომიან, ვისაც თქვენა ჰქვებავთ, მაგრამ ვინც თქვენვე გიბრიყვებს, ვინც თავიდგან იცილებს და გაურბის, თქვენთან ერთად, ლუქმა პურის დამუშავებას.

მხოლოდ საერთო, შეთანხმებული შრომა-მოქმედებაა საჭირო და მაშინ თვით ცაც კი თავს მოიხრის და თაყვანსა სცემს თქვენს - საერთო ძალას... მაძლევთ სიტყვას, რომ შეთანხმებით, ერთობით იმოქმედებთ, იშრომებთ.— შემომფიცეთ, რომ ერთმანეთს არ ულალატებთ...

— ვფიცავთ!.. გვინდა შრომა... ერთობა,— უმაღ იგრიალა აღტაცებულ ხალხის ხმამ და ლელვა დაიწყო, ქარისაგინ შეშფოთებულ მომწიფულ ყანას იყოთ.

— მჯერა თქვენი სიტყვა, გენდობით და ამიერიდგან, თქვენივე დახმარებით, სამუდარო ესპობ გაქივრებულ ცხოვრებას და ვაწესებ ყველასათვის თანაბარ უფლება-მოვალეობას. მაპატივეთ რომ დადი ხნის დასუსტებული დაიიღოს და დღეს ამით გათავებ, ზოგიც კალავ. როგორც ერთგული და თავდადებული თქვენი მონა-მოსამსახურე, მე განუშორებლიდ ყოველთვის თქვენთან ვიქნები. აგრ აღმოსავლეთიც ენთობა. გაგუონებია კიდეც...

მაშ კიდევ გაუმარცოს თანაბარი შრომით მოპოვებულ ლუქმას, გაუმარჯოს მმობა-ერთობას!

— გაუმარჯოს მმობა-ერთობას!.. გაუმარჯოს


წვენს სათაყვანებელ მოხუცსაც! .— მოისმა გუგუნი და ბევრი აღელვებული წინ გაქანდა, რომ ხელში აყვანით, ან სხვა გვარი პატივისცემით გამოეხატათ თვისი აზრისადმი გულწრფელი სიყვარული. მაგრამ, რამტონიც უახლოვდებოდნენ; იმდონაი მოხუც აზრის როგორც სახე, ეგრეთვე მთლად აზრი სამოსელით ფიტრდებოდა, ილეოდა და, ცოტა ხნის შემდეგ მთლად გაღნა და შეუერთდა მთაბლოვებულ ცისკრის ლაუგარდს, მხოლოდ მოხუც აზრის ნადგომ აღგილიდგან გაოცებულ ხალხს არე-მარე გაუნათა თვალის მომკრელმა, ცეცხლის ასოებით დაწერილმა ასოებმა: „თავისუფალი სიტყვა“... ხმაურობა უცბად შესწყდა და ხალხი უსიტყვოდ მუხლებზედ დეეშვა...

— გაუმარჯოს თავისუფალ სიტყვას,— დივილრიალე ამ დროს მეც რაც ძალა და ღონე მქონდა, რომ ვეღარ შევიქვე აჩქროლებულ გულის ტოკვა...

— შენ, ეი, ლაზარე, რას ღრიალებ დაკოლო დათვივით? იქმნება დაგავიწყდა „ვოენოე პოლოენიე“, ხომ არ გინდა მოგევლინოს მიქელ ანგელოზი, — ჩვენი დვორნიკი?

— მუჯლუგუნების ცემით გამაღვიძა ამხანაგმა. მე ლოგინში წამოვჯექი და ორ ნაირად დარცხენიორი და მოტყუებული, დიდ-ხანს ვისრესდი თვალებს...

#### გ. ახალციხელი.



#### რ ჩ მ ვ ა

ოდეს გულს მოგხვდეს, შეამ ნაღველის მწარე წვეოები.

უნ თავი თვით შენვე ანუგეშე სხეს ნუ ენდობი.

დაიმშვიდე გული მღელვარე ამიოებით.

უსამართლობეს შებრძოლე მძლიერი გონებით.

არც დაეხაგრო სოფლის მუხთალს უხამს და ნაღველსა,

არც იგრძნებინ შენი ტანჯვა შენსავ მნახველსა.

უნს დაჩაგრულ გულს თანამერნობი მხოლოდ შენ ჰყებარ,

ზეცად შენ მხენელად ღმერით არის ქვეყნად კი შენ ხარ.

გორგი უჩინარიდე.

\* \* \*

ქვეყანა სცურავს სისხლის მორევში  
ტანჯული ხალხი კვნესის და სტირის...  
„ანუ სიცოცხლე ანუ სიკედილი!“ -  
გამწარებული მონობა ყვირის.

### ა. თალაკვაძე.

— • — • — • — • —

## ის იქო!

ა. ჩეხოვისა.

— გვიამბეთ რამ, პეტრე ივანესძევ, გვიამბეთ—  
შემოეხვივნენ გარშემო ახალ-გაზრდა ქალიშვილები.

პოლკის უფროსმა ჩახველა, თვისი სქელ-ჭა-  
ლარა ულვაშები გადიგრიხა და დაიწყო:

— ეს იყო 1843 წელს. ჩვენი პოლკი მაშინ  
ჩენსტოხოვთან იყო დაბანაკებული. საოცარი ცივი  
ზამთარი დღი. თოქმის უკეთეს დღე რამოდენიმე  
ჯარის კაცს ყინვა ხელ-ფეხს დაძრობდა. აუტანე-  
ლი ქარ-ბუქი იცოდა ხოლმე. უნდა გახსოვდეთ  
ჩემო გვრიტეთ, რომ მე მაშინ მწვენიერი შეხე-  
დულების ყამწვილი კაცი ვიყავი. ახალგაზრდა,  
ჯანსაღი, წარმოსადგენი, ახლად ამწვენებული მდე-  
ლოს მზგავსაღ, მქონდა შემოსილი სახე წვერ-ულ-  
ვაშით. საუცხოვო ტანისამოსი და წკრიალა დეზე-  
ბი, ერთი სიტყვით ნამდვილ „ფრანტს“ რომ იტ-  
ყვიან მე ვიყავი. ფული სულ მუდამ საკმაოდ მქონ-  
და და ბზესავით ვფანტავდი. ჩემსაგებრ დროს, მთე-  
ლს ჩვენს პოლკში არც ერთი პრაპორჩიკი არ ატა-  
რებდა. საკარისი იყო, თუნდ თვით მზეთუნახავი-  
სათვის ოდნავ თვალი გადმეკრა, რომ ბატკანსავით  
მონა-მორჩილი გამხდომოდა. უნდა გამოგიტყდეთ,  
რომ მეტის მეტად ვიყავ ქალების მოარშიყე.  
რამდენი მშვენიერი არსება ჩამოქცდებია ყელზედ  
რომ მოგითვალოთ თვლას ვერ აუხვალთ. ავას ისიც  
დაუმატეთ, რომ მე მაშინ ვიყავ პოლკის აღიუტან-  
ტი, მშვენიერად ვცეკვავდი „პოლკა-მაზურკას“ და  
საუცხოვო სილამზის ქალი მყავდა ცოლად—სასუ-  
ფეველი დაუმკვიდრე უფალო მის სულს—ყველა ამ  
თვისებებთან, წარმოიდგინეთ, რომ ძალზე თავზედ  
ხელ აღებულიც ვიყავი. თუ სადმე მთელს მაზრაში  
რამდე თვალსაჩინო აღიაქოთი ასტყდებოდა, წინდა  
წინვე იცოდნენ, რომ ამის ჩამდენი პოდპორჩიკი  
ვივერტოვი იქნებოდა.

როგორც აღიუტანტს, ხშირად მიხდებოდა ხოლ-  
მე მთელს მაზრაში მოგზაურობა. ხან თვისი სას-  
ყიდლად, ხან პოლკში დაწუნებულ ცხენების გასა-  
სყიდად, უმფრო ხშირად სხვა და სხვა საქმიანობის  
მომიზეზებით გავრავდი დანიშნულ ადგილებისაკენ,  
საღაც პაემანი მქონდა ხოლმე დანიშნული ლამაზ  
და მხურვალე პოლონელ ქალებთან...

უბის წან დღეს ჩენსტოხოვიდან სოფელ შე-  
ველსკში გავემგზავრე სამსახურის საქმეზე ფული-  
სრულებლად. მე და ჩემი მემარხილუ მწყვეტიწერუკ  
ვიტანდით ზამთრის სისუსხეს. ჯერ შუაგზაზედ არ  
მივეტანა რომ ქარ-ბუქი ამოვარდა, რამაც ხალხი  
და პირუტყვებიც თოვლის ნამერში ჩაგვმალა.

— თქვენობრწყინვალოებავ, გზას ავცდით—მომა-  
ხარა მემარხილემ.

— ი დასწყევლოს ეშმაკმა! წამოვიძახე მე, და  
უბრძანე განეგრძო გზა-არეული მოგზაურობა, სანამ  
საღმე სახლს არ ვიპოვიდით.

კარგა დალამებული იყო, რომ ამ ხეტიალით  
დასუსტებულნი, ერთ სასახლეს წავადექით. ეს იყო  
მდიდარ პოლონელ გრაფ ბოიადლოგსკის საცხო-  
ვრებელი.

თვით ბოიადლოგსკი ოჯახობითურთ იმ უამაღ  
პარისში სცხოვრობდა, და ჩვენ მიგვიღო მისმა  
მოურავმა კაზიმირ სამინცკიმ, რომელიც სცხოვ-  
რობდა ქვედა სართულში. ნახევარი საათის შემდეგ  
მე უკვე ვიმუოფებოდი თბილსა და კოხტად მორთულ  
ოთახში, ვამშამს შევექცევოდი და... მოურავის  
ახალგაზრდა ცოლს თვალებით ვეარშიყებოდი. ღა-  
მის გასათევათ ზემო სართულში, თვით გრაფ  
ბოიადლოგსკის სადგომში ამიყვანეს.

— მოჩვენებისა ხომ არ გეშინიათ?—მკითხა მო-  
ურავმა, როდესაც ვებერთელა ცარიელ ოთახში  
ფეხი შევდგით, საღაც ჩვენის ლაპარაკისაგან გუ-  
გუნი გაისმოდა.

— განა აქ იცის ხოლმე მოჩვენებები?—ვკითხე მე,

— არ ვიცი, ჩაიცინა მოურავმა, მაგრამ უნდა  
მოგახსენოთ, რომ ესეთი გაფხეკილი ოთახი ამ გვარ  
ამინდში ნამდვილ მოჩვენების ბუდეს მაგონებს.

მე თუმცა საქმიად გადაკრული და კარგს გუნე-  
ბაზე ვიყავ, მაგრამ მასპინძლის სიტყვებმა საკაო  
დამაფიქრიანა. ასი შეიარაღებული ლეკის შეხვედ-  
რა მირჩვინან, ერთი მოჩვენების ნახვას... მეტი  
ლონე არ იყო, ტანისამოსი ვავიხადვ და ლოგინში  
ჩავწევ... ოდნავ მბეუტავ სანთლის შუქზედ შევამ-  
ჩჩინ კედლებზედ ჩამოკი ული სხვა და სხვა ნადი-  
რების რქები და ძველი ისტორიული იარაღი, რო-  
მელთაც ეხლა უცნაური შიშის აღმძრველი შეხე-  
დულება ჰქონდა... მთელ ოთახში სამარისებური  
სიჩუმე სუფევდა... გარედამ კი მოისმოდა ხოლმე  
ქარის ზუსუნი და საღლაც კარები თუ ფანჯარა  
საზარლად ჭრიალებდა, ამას მიუმატეთ ისიც, რომ  
კარგად ყელ ჩასველებულს თავი წისქილივით მი-  
ტრიალებდა, როგორც ყველაფერი ჩემს გარშემო  
ციბრუტივით ტრიალებდა. როდესაც თვალებს ვხუ-  
ჭივლი, მეჩვენებოდა თითქოს მე ჩემის საწოლოთ-  
ურთ ამ ვებერთელა ოთახში დავფრინავდი და  
კინკებს ვეთამაშებოდი... რომ უფრო შეშემცირებია



ჩემი შიშიანობა, უწინარეს ყოვლისა სამთელი ჩავა-  
ქრე, ვინაიდგან ცარიელი ოთახი სინათლეში უმ-  
ფრო შიშის მოგერელია ვიდრე სიბაელეში...

სამივე ქალიშვილმა, რომელნიც პოლკის უმ-  
ფროსს სულ განაბუღნი უსმენდნენ, ახლოს მიიწი-  
ეს მისკენ, და ცნობის მოყვარე თვალები მოლაპა-  
რაკეს მიაპყრეს.

— ამ რიგად, — განაგრძო პოლკის უმფროსმა — რამ-  
დენი არ ვეცადე დამძინებოდა, მაგრამ ამაოდ, ძი-  
ლი დამიურთხა. ხან მელანდებოდა თითქოს ფან-  
ჯრებიდამ ქურდები იპარებოდნენ, ხან ვიღაცას  
ჩურჩული მომესმოდა ხოლმე, ხან კიდევ მეჩვენე-  
ბოდა თითქოს მხრებზედ ხელით შემეხნო — ერთის  
სიტყვით ქაჯებმა დამიპყრეს... მაგრამ წარმოიდგი-  
ნეთ ჩემი გაოცება, როდესაც ამოდენ ვაი-ვაგლახ-  
ში მე ნათლად მომესმა ძალიანის ფეხის ხმა, ტუ-  
ფლების ნელი ფრატუნი... სმენად გადავიქცე — და  
რა გვონიათ?.. — მესმის აშკარად ვიღაც უახლოვ-  
დება ჩემს ოთახს, ჩუმად ახველებს და... კარებს  
აღებს...

— ეს მე ვარ... ნუ გეშინიან! — მომესმა ქალის  
ნარნარი ხმა.

• მე კარიგებისაკენ გადავდგი რამოდენიმე ნაბრ-  
ჯი... გაიარა წუთმაც, და ჩემს მხრებზედ დაეყრდნო  
მხურვალე და ბამბასავით ჩილი ქალის მკლავები...

— მე მიყვარხარ შენ... ჩემო სიტკბოებავ... ხი-  
კოცხლეზედ უძვირფასესო... ჩამჩურჩულა ქალის  
ტებილმა დამათრობელმა ხმამ... მისი მხურვალე  
სუნთქვით სახე ცეცხლივით ამენთო... ყველასფერი  
გადამავიწყდა... არც ამ ქვეყნიური და არც საიქი-  
ოს მოჩვენებანი ჩემთვის აღარ არსებობდენ... თავ  
დავიწყებით ორივ ხელები გარშემოვსვიყ ლერწამი-  
ვით ტანს... დიალ ლერწამივით ტანს! ამგვარ ნარ-  
ნარ ლერწამს თვით ბუნება ათს წელიწადში ერთს  
თუ შექმნის... ნაზი თითქოს ოლიოს მარმარი-  
ლოს წელი, მხურვალე და თან აღელვებით მორთო-  
ლვარე გულმკერდი... ჩვენი ტუჩები დიდხანს იყვ-  
ნენ ერთმანეთზედ დაწაფებულნი... ას, ეს მხურვა-  
ლე ტუჩები! ეს ძლიერი კოცნა!.. ვფიცავ ქვეყნად  
მყოფ ყველა ქალების სახელს, რომ ეს კოცნა  
არაოდეს არ დავიწყო...

პოლკის უმფროსი დაჩუმდა, ნახევარი ჭირ-  
წყალი დალია და დაბალის ხმით განაგრძო:

— მეორე დღეს უარესი ამინდი იდგა. გამგზავ-  
რება შეუძლებელი იყო. მთელი ღღე მოურავის  
სახლში სმასა და ბანქოს თამაშში გავატარე. ღა-  
მე — კი ისევ იმ დაცარიელებულ ოთახში წიყავი  
და სწორედ შუალამისას მე კვლავ მავრად მყავდა  
გურუში ჩაკრული ნაცნობი ლერწამის ტანი...

— დიალ, ქალიშვილებო, თუ არ სიყვარული.  
უცველია, მე ის ოთახი სიგიურდე მიმიუვანდა...

პოლკის უმფროსმა ამოიოხრა, ფაქტურა ტუშელები  
გა და მძიმედ ოთახში სიარულს შეკულეობრებები  
— მაგრამ... მერე რაღა მოხდა — შეეკითხა ერთი  
ქალიშვილთაგანი, რომელიც როგორც სჩანდა  
დასასრულს ელოდა აღტაცებით...

— არაფერი. მესამე დღეს მე უკვე გაუდევ ჩემს  
გზას.

— მერე... ვინ იყო ის ქალი?.. — გაუბედავად  
იკითხეს ქალიშვილებმა.

— ჩემი ცოლი!..

სამივე ქალიშვილი ერთხაშად დამფრთხალი  
კურდლებივით წამოცეივდნენ...

— ეს იგი... როგორ თუ თქვენი ცოლი?!. იკი-  
თხეს მათ.

— ღმერთო ჩემო, რაა აქ ნეტავ გაუგებარი? —  
პოლკის უმფროსმა მხრები შეიშმუშნა. — მე ვგო-  
ნებ გარკვევით ვილაპარაკე! მივდიოდი შევოლკაში  
მეუღლითურთ... ისიც ღამე, ჩემს გვერდით სხვა  
ოთახში იყო... ვვონებ ადვილი მისახვედრია!..

— მმ... წიბუტბუტეს ქალიშვილებმა, და მოწ-  
ყენით ხელები კალთებზედ დაუშვეს. — დაწყებით  
შვენივრად დაიწყეთ, და ბოლო-კი ღმერთმა უწყის  
როგორ დაათავეთ... ცოლი... უკაცრავად.. მაგ-  
რამ, ეს არც თუ ისე საინტერესოა, და... არც  
არაფერი აზრია შიგ...

— საკვირველია! მაშ თქვენ გინდოადათ, რომ ის  
ჩემი საკუთარი მეუღლე-კი არა, სხვა ვინმე უცხო  
ქალი ყოფილიყო?!. ოხ, ქალიშვილებო, ქალიშვი-  
ლებო! თქვენ რომ ეხლა ეგრე სჯით, როდესაც  
დათხოვდებით, მაშინ რაღას იტყვით?!

ქალიშვილებს შერცებათ და დაჩუმდნენ. სახე  
მოღუშულებს ცხვირები, ჩამოშეგათ და სრულიად  
იმედ გაცრუებულებმა ხმა მაღლა მთქარება მორთეს...

ვამდების სუფრას შემოუსხნენ; მაგრამ არც ეთი  
მათგანი საჭმელს არ მიჰყარებია, ყველას პურის  
ნამცეცი ეჭირათ ხელში და ხელის გულზედ აგუნ-  
დავებდნენ...

— ეს, მართლაც რომ მეტად... უზრდელობაცა!..  
ევლარ შეიმაგრა რისხევა ერთმა მათგარმა — რაღა სა-  
პირო იყო ზთელი ამ მოხსრობის დაწყება ღუ-კი  
ასეთი ბოლო ჰქონდა?.. კარგი ამ მოხსრობაში  
არა არის რა... პირიქით ხეპრულია!!

— დაიწყეთ ისე მიმზიდველობით და... ასე უშ-  
ნოდ-კი შესწყვიტეთ... — დაუშატა მეორეშ. — ეს  
დაცინვაა და სხვა არაფერი.

— ხა, ხა, ხა!.. გადახსარხარ პოლკის უმფროს-  
მა. — ნუ ცხარობთ, ქალიშვილებო, ნუ ცხარობთ!  
მე ვიხუმრე. ის ჩემი ცოლი კი არიყო... ის იყო!..

— ვინა??.

— ჩემი შასპინძლის მეუღლე, მოურავის ცოლი!..

— მართლა?!!

ସିନ୍ଧିଆରୁଲିବେ ନିର୍ମାଣ ଦାତିଜନିନାହାନ୍ତିରୁଥିଲା. ଯୁଦ୍ଧିଶ୍ଚାଲିକାରୁଥିଲା ପରିପାତ ଗାମିପରିପାତିରୁଥିଲା. ମାତ୍ରା ଉପରୀରୁଥିଲା ତତ୍ତ୍ଵାଳ୍ୟରୁଥିଲା ନାମେରିଛି କଲେଜିରୁଥିଲା. ଯୁଦ୍ଧିଶ୍ଚାଲିକାରୁଥିଲା ପରିପାତ ଗାମିପରିପାତିରୁଥିଲା. ମିଶ୍ରବ୍ୟାକିଳେରୁଥିଲା, ଏବଂ ଶ୍ରୀକିରଣକୁମାର ସେବାକାରୀଙ୍କିରୁଥିଲା ଏବଂ ପରିପାତ ଗାମିପରିପାତିରୁଥିଲା... ଏବଂ ପରିପାତ ଗାମିପରିପାତିରୁଥିଲା... ଏବଂ ପରିପାତ ଗାମିପରିପାତିରୁଥିଲା...

୬. ଖ—ହୋ.

### କବିତାରୀ ରହନ୍ତିରୁ

ମେ ମରୁଲିଦମୁଲିବେ ଯି “ନେତ୍ରାରୀ ଦରନ୍”,  
ଏହେ ମରୁଲିରୀ କୁଳି ମନୀପନ୍ତିବେ;  
ଏହେ ହାଗରୁଲି, ଡେଫାନ୍ଦାମିଶ୍ରାରୀ,  
କ୍ଷଣାବ୍ଦ ତାଙ୍କିଲିଦମୁଲିବେ ଏମନିଲିନ୍ଦିବେ!

ମେ ମରୁଲିଦମୁଲିବେ ଯି “ନେତ୍ରାରୀ ଦରନ୍”,  
ଏହେ ଗାମାରିଜିଲିବେ ବାଲିକୀ ଉତ୍ତରିବେ,  
—ଏହେ ପ୍ରାନ୍ତିକୁଲିବେ ଏବଂ ଦୋହାଗରୁଲିବେ  
ମିନ୍ଦିକ୍ଷେତ୍ର ତାଙ୍କିଲିଦମୁଲିବେ!

ମେ ମରୁଲିଦମୁଲିବେ ଯି “ନେତ୍ରାରୀ ଦରନ୍”,  
ଏହେ ପ୍ରାନ୍ତିକୁଲିବେ ଏବଂ ଚାମଦିଲି ନାପୁଲାଦ,  
ପ୍ରାନ୍ତିକୁଲି-ହାଗରୁଲିବେ, ମରୁନମ୍ବେ-ଗାମରିଜିଲି  
କ୍ଷଣାବ୍ଦ କିନ୍ତୁରୁଲି ଏବଂ କ୍ଷେତ୍ରିଲିରୁଥାଏ!

ଦରନ୍ କ୍ଷଣିକିରିବେ,—ତାଙ୍କିଲିଦମୁଲିବେ,  
ଦରନ୍ ଯେ “ନେତ୍ରାରୀ” ମେ ମରୁଲିଦମୁଲିବେ,  
ମାତ୍ରିକ ମୁଖେବେ, ବାଲିକୀ ଶ୍ରୀକିଳିବେ  
କାନ୍ଦିବେ ମନୀପନ୍ତିବେ କ୍ଷେତ୍ରିବେ ମହାକାରୀଲିବେ।

ଲାଭ ପା—ରହନ୍.

### ପାତାର ପାତାର ପାତାର ପାତାର

ରାତି ହାଗରାପିରିଦି, “ଦାତିନାନ୍”,  
ଏବଂ ଗ୍ରବୁରିଲା ଗ୍ରବୁରିଦି ତାତିନାନ୍!..  
ଶ୍ରେଣ୍ଟ ପିଲାକାଶିର ଏବଂ କିମ୍ବନ୍ କି  
ଗ୍ରେନ୍ଡାର ମୁଦାମ କିମ୍ବନାନ୍?..  
କିମ୍ବନ ମନୀକିରିଲା ଗ୍ରବୁରିଦି, ରାତି କାହାରିଦି?  
ଗ୍ରବୁରିଲା ଲାଭ କାହାରିଦି, ଏବଂ କାହାରିଦି?  
ଗ୍ରବୁରିଲା ଲାଭ କାହାରିଦି, ଏବଂ କାହାରିଦି?  
ଏବଂ କାହାରିଦି, ଏବଂ କାହାରିଦି?

ପାତାର

ମନେଲି ସାମନ୍ତରିଲା ଲାଭିତାତିରିଲା.

ଏକମତେକାଳୀ  
ଶାଶ୍ଵତପରିବର୍ତ୍ତନାକୁ



କାହାରିଦି କାହାରିଦି

କାହାରିଦି

ମାନ୍ଦିଲିଲା କାହାରିଦି କାହାରିଦି... କାହାରିଦି କାହାରିଦି!

### କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି

କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି.

କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି.

— ରା ଦାଗରିମାରିଦା, ଏ ଯଦି ରାତି ଏଗିବେଗିଲା?

— କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି  
ଏବଂ କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି

— କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି କାହାରିଦି




შესანიშნავი სურათები.



სამიუნურო ბარათი, გოლციძეების ნიჩატი

გამოჩენილი მემუსიკენი



რიხარდ გიგერ (ქანდაკე)

25 წლ. გარდაცვალების გამო 31 იანვ. 1883 წ.

გამოსაცნობი.

რა არის ქვეყანაზედ ყველაზე უტკბესი?  
(აღამიანის ენა).

რა არის ქვეყანაზედ ყველაზე უმწოდესი?  
(აღამიანის ენა),

8 1 8 9 3 1 6 5

(ბაქოელების)

ეროვნული  
გიგანტის

საესე არის ყოველის მხრიდან,  
ვით იობის მარანი.  
ხელთ უპყრია ნაეთის წყარო,  
ეს სიმდიდრის ფარანი.  
დიპლომი და დიდებული  
მისთვის ყველა მზათ არიო.  
ჩარევია უცხოელებს,  
სამშობლოსთვის არ არიო.  
„ვიშებს“ ძირში მისწოლია,  
გაღუშლია დავთარიო.  
ამნანაგათ გაუხთია,  
აისორი—თათარიო.

სხვის კირ-გარიმს რას დაეძემს,  
უყვარს მხოლოდ ქანქარიო;  
ნაეთის გარდა სხვა საკითხი,  
მისთვის არის ზლაპარიო...

ხომა.

ახილებული ფიცი

— წამო ვიბანავოთ, ერთი ეუბნება მეორეს.

— არ შემიძლია, უპასუხა მეორემ, მე ფიცი  
დავსდე, ფეხს არ დავისველებ წყალში, მანამდისინ  
ცურვის არ ვისწავლი.

პუტრიკა.

შესანიშნავი სურათები.



დიანა და ისვენებს! რიხტერის ნიჩატი

ი გ ა ვ ი .

იყო კაცი ვინმე და იყო სახელი მისი იანუსი. ერთსა თავსა ზედა ორი სახე ჰქონდა და იყურებოდა ერთით ჩრთილოეთისკენ, ხოლო მეორეთი აღმოსავლეთისკენ.

სცხოვრობდა ქალაქსა რომელსამე, გული გორიზი ჰქონდა და მოძულე მეზობლისა თვისისა. დღესა ერთსა იანუსი ესე მიდიოდა გზათ. ვისისამე ბალნარიდან კინტრი წამოეპარი და სჭმიდა მათ. ხოლო ნაფუქვენებსა აფურთხებდა და ამობდა გულსა შინა თვისისა: კინტრი მონაპარი ტკბილ არს ბაგესა ჩემსა და შთავიდეს იგი მუცელსა ჩემსა შიგან. ხოლო ნაფუქვენი გარდამიგდებიეს, დამი-ფურთხებიეს, ვინაიღენ გზასა ამას მეზობელი ჩემი გამოივლის და იქმს ჭამადსა მათსა. ასე განვლო კაცმან მან საკვირველმან შარა გრძელი. ხოლო უამსა მას იყო ფრიადი სიცხე და მხურვალება, როგორცა თავსა მისსა შიგან ასევე ტაროსით. ასე რომ ხახა მისი გამშრალი შეიქმნა. და მოსწყურდა მას წყალი, გითარცა ხუცესსა ტაბლა. შეწუხდა კაცი იგი და იწყო ტარება ვითარცა კიბომ. ჩოჩ-ვითა გზასა მას შემოუბრუნდა და ნაფუქვენსა მას გადანაყარსა და თვის მიერ დანაფურთხს სჭამდა და იტყოდა საქვეყნოთ ასე: „დიას სწორეთ დანაფურთხსა, სწორეთ დანაფურთხსა ჩემსასა ვლოკვავ!“

მმან ჩემნ ქრისტიანენო! აშ ისმინეთ იგავისა ამისა ახსნა: კზცი იგი საკვირველი არს ყოველი ქართველი მჟავე ესდევი, ხოლო მის მიერ დაფურთხებული და იმჟამსა შინა მისგანვე ალოკვილი სიტყვა მისი ავტონომიისა შესახებ.

საქმე ესე მოხდა:

ქორონიკონსა ჩ. ა ყ. ლ. ა. ვ. ი. ს. ა. ს. ა. საქართველოში მეფობასა ესდევკთა დემაგოგისასა, ხოლო პეტერბურლში ძეგა მათთა მესამესა მთავრობას.

—

წამყითხველო, ნუ შერისხავ პირში მოქმედსა მას ბერსა იროდის.

—

**შენიშვნა რედაქციის მიერ:** იროდი ბერმა იგავი ესე მოგვაწოდა იმ 30 მუშისა და გლეხის საბასუხოთ, რომელიც კითხებოდნენ ესდეკებს: რათ უარყოფით წინეთ და რათ იწამეთ ახლა ავტონომია, მაგრამ მათგან პასუხი ვერ მიიღეს.



მიზანმიზნის გაასი სოცლად.

(გაგრძელება იხ. № 17), გიგანტის გადასაცემი

— შენ ეს მითხარი, მართალია თუ არა, რომ ერთი „სალდათი“ გპირდებოდათ — „შეტაკება თუ მოგვიხდა თქვენთან, თოფს არ გესვრითო“? თქვენც ბალზე დაიმედებულნი, თურმე სადილ-ვაჭამს უმართავდით და არი ჰალალის მღეროდით, თქვ ნ გეგონათ ეს არის ძირს დაგამხეთ რეაქცია, რადგან ჯარი ჩვენკენ არისო და ბოლოს, როცა „სალდათი“ გამოფხიზლდა, ბურუსიდან გამოგარკვიათ და გითხრათ: „რით უნდა გესროლოთ, რომ თოფი არ გამაჩნია, რადგან მე „ბარაბანჩიკი“ ვარო!..

— ჩემთან კი არ ყოფილა ეგ ამბავი, მარა რაცხას კი ამბობდენ მავვევას... ეს ალბად მოწინააღმდეგე პარტიის მოგონილია...

— შეიძლება მოგონილი იყოს, მაგრამ ეს ხომ მოგონილი არ არის, რომ ჩვენი დიდებული პოეტი რომ მოკლეს, ერთს თქვენი რჯულის მესტიირეს თუ „პუბლიცისტს“ ჭავჭავაძის მაგიერ „შავ-ჭავძე“ ჩაუწერია გაზეთში ვითომდა საოხუნჯოთ?

— მაგი საქმე მეტად ბნელია...

— მერე რატომ სინათლეს არ მოფენენ ამ ბნელეთის ნამოქმედარს?.. განა არ სწერდნენ „ნიშადურში“ ეგ საქმე. ყველას შეეხება და პარტიული სისუფთავე და ზნეობრივი სიფაქიზე მოითხოვს, რომ ყველა პარტიიგბმა თავს იდეან ამ საქმის გამოაშკარავებომ...

— ებლა, შე დალოცვილო, პარტია პოლიციელობას ხომ არ იკისრებს და დამნაშავეთა და ბოროტ მოქმედთა ძებნას ხომ არ დაიწყებს?..

— რატომ? თოხ-ხუთ ათას კაცში ნორ ეორდანის მოპარული საათი თუ იპოვეს მეორე დღეს, განა ილია ჭავჭავაძის მკვლელების მიგნება უფრო სავალდებულო და საკირო არ იყო?

— აში თუ აგრე საჭიროდ გვინიათ, რატომ თქვენ არ იპოვნით?

— ჩვენ კი ვიპოვნით და თუ ვერ ვიპოვნეთ ისტორია მოსძებნის მკვლელებს, მაგრამ რაც მართალია მართალია და ქართული ანდაზისა არ იყოს „წყალნი წავლენ და წამოვლენ ქვიშანი კი დარჩებიანო“, ერთხელაც არის სიმართლე წამოიკიმება თავის საზარელის კეშმარიტებით და მაშინ ვაი იმათ, ვისაც სიმართლისა და კეშმარიტებისთვის ორგულობა გაუწევია?

— რა გაცხარებს ასე, ყმაწვილო, სიმართლე და სიმტყუნვე აქეთაც არის და იქითაც, მთლად კი სოციალდემოკრატიის კი არ აულია „პოლრათად!..

— მაშ თუ არ აულია, რატომ მართალს არა სწერენ და ისტორიასაც კი იგონებენ, უკეთ რომ ვსთქვათ სთხამენ... ის რა იყო, რომ ივ. გო-

მართელმა დასწერა თავადს უფლება ჰქონდა „პირველი ღამისაო“... აკი აკაკი გაუბათილა მოჭორილი ისტორია და მერე პასუხად მიიღო—დაკანონებული თუ არ იყო, ისე ხომ იყოვთ...

— ჰოდა ტყუილი ხომ არ უთქვაშ!

— ტყუილი იქნება არ უთქვაშ, მაგრამ თითო ოროლა მაგალითები, რომ ისტორიულ ფაქტებათ მოვნათლოთ, სად შევტოპავთ? განა ცოტა მაგალითებია ძალმომრეობისა, ვერაგობა— ავაზაკობისა, და უდიდესი უსამართლობისა გლეხეკაცობაში, მაგრამ ეს მოუა აზრით ამ კერძო მაგალითებს ზოგადი ხასიათი მისცეს და მით უმეტეს ისტორიულ მოვლენად და კანონად აღიაროს. ეს სადაური სამართლია ან კეშმარიტი კვლევა?

— განა არ გეტყობა რომ თავად-აზნაურობის მოტრფიალე ხარ, თვარა რაც იმათ გლეხეკაცობის სისხლი უწოდით და ხორცი უჭამიათ, ყველამ ქე იცის შენს გარდა...

— მე სულაც არ ვამართლებ იმ თავად-აზნაურებს, რომელნც სისხლით და ხორცით იკვებებოდნენ, მაგრამ კაცი თუ სიმართლეს არ ღალატობს, უთუოდ უნდა გაითვალისწინოს ის დრო და ხანა, რომელშიაც ესა თუ ას მაგალითი ხდებოდა. ბატონ-ყმობა როგორც ჩვენში აგრეთვე ყველგან რუსეთში და ევროპაშიც უსამართლობის საძირკველზე იყო აშენებული და აკი დაიმსხვრა კიდეც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, როთ ეხლანდელი თავად-აზნაურობა მამა პაპათა უსამართლობისათვის. ჯვარს აცვათ და გაანიავეტვეროთ. დღევანდელი თავად-აზნაურობა პასუხს აგებს დღევანდელი შეცოდებისათვის და არა წარსულისათვის...

— ქართული ანდაზა გიყვარს და რატომ არ იცი რომ „ეკლის ამონავალზე ეკალი აძოვაო“...

— ჰოდა იგივე ქართული ანდაზა გვასწავლის: „ისეთმა ფურმა ღამსწიხლოს დერგით მიღამდეს ყველსაო“. ჯერ საიმისო არა გაგიკეთებიათ რა, რომ სხვის ნახახზე საქვეყნო ბედნიერება აგვ-შენებიათ. შურისა და მტრობის მაგიერ საჭიროა თანხმობა და სიყვარული!.. „რაც მტრობას დაუქცევია ის სიყვარულს აუშენებიაო“ ამბობს პოეტი და ჩვენც სწორეთ ეგ სიყვარული გვაკლია და თქვენ კი ამ ღანაკლისს უფრო აღრმავებთ თქვენის ბრძოლით. ჭკუა და გონება მოითხოვს ერთობას, თქვენ განცალკევებას ეტრტით, იგივე ქართული ანდაზა აპობს: „გიფი ის არის ვინც აბნევს, ვინც კრებს ის კვეიიანიაო“. ოჯ და ნუ ღალატობთ ჭკუას-ერთბას!..

ქან-დონ-ლას.

## გ ო დ ე ბ ა.

ჩემს ქვეყანას, ტურქია მხარეს მოვარდებული რათ უყურებ დღეს მწუხარეს, გიბბლიოთის რისვის აფრქვევს ცრემლს მდუღარეს.

— მხარეე! სულით რათ დავარდი,

გთხოვ, მაუწყე შენი დარდი,

ნუ თუ დასჭერ ვითა ვარდი?

— გთხოვ, შვილა, რა მაწუხებს:

რათ მიკერენ მე მარწუხებს,

ხმა ჩემი სით დაიქუხებს,—

თუ გაგრძელდა ასე დიდხანს,

არ გავშორდი ამდენს დიდს ხანს,

ვინც მაძრობენ ზურგით დიდს კანს!?

. შევავრდომე მათ მე თავი,

რადგან სენი შემხვდა ავი...

უარესი სანახავი

ვარ დღეს, შვილო!.. ყრუა ზენა!

მე წამართვეს ჩემი ენა,

მიწა-წყალი, შვება-ლხენა...

გამიურჯულეს შვილები—

ბევრი დიდი და ჩვილები...

მათ დასწავლეს ტყუილები!

ბევრმა სიმართლე დაკარგეს,

ერი სიყალბით დაბარგეს,

და ვერც თავის თავს რამ არგეს...

ამად ვტირ, სულით ვვარდები—

დამიჭენა ია-ვარდები...

აწ ვისლა შეუყვარდები!?

თოშა პოსა.

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

სამი ინტელიგენტი დასეირნობდა. წინ მოხუცი შემოყვარათ და ერთმა სთქვა:

— ეს აბრამი იქმნება ცით ჩამოსულიო.

— არა. ეს ისააკი იქმნებათ, უთხრა მეორემ.

— არა! თქვენ სცდებით! ეს იაყბიათ, ამაყად წამოიძახა მესამებ.

მოხუცი მოუბრუნდა და უთხრა:—თქვენ ვერც ერთმა ვერ მიცანით. მე ვარ საული და ვეძებ ვირებს მამიჩემისას და რაკი ვიპოვე, მათ უქვე ვტრვებო.

საღვარ გარეთიდან დაბრუნდა ერთი ქარაფშუტა მამულიშვილი და ყველას უბნებიდა, რომ იქაური ცხოვრება სულ სხვანაირად არის მოწყობილი. იქ სადილს ასე ადრე არ მიირთმევენ, როგორც ჩვენში.

ერთმა ჰყითხა:

— იქ მუშები რომელ საათზედ სადილაბენო?

— სრულ ორ საათზედ.

— ოჯ ეგ ძლიერ გვიან არის! მღიღრები?

— მდიდრები სამ საათზედ.

— პარლამენტის დეპუტატები?

— ექვს საათზედ.  
— სენატორები?  
— სალამოს რვა საათზედ.  
— პრეზიდენტი?  
— ის მეორე დღეს სადილობს ხოლმე!

— თუ შეიძლება ერთი ათი თუმანი მასესხე, უთხრა უცნობში უცნობს.

— მე თქვენ ვერ გიცნობთ;

— მეც იმიტომ მოგმართეთ, რომ არ მიცნობთ, თორუებ ვინც კი მიცნობს ყველასი მართებს და აღარ მეწოდნანო.

ის—არი.

## პროცენტი.

**კახოთი. ახალი ბანკის მოლოდინში.** „ისა-რი“-ს 274 ნომერში მოთავსებულია ა. ჯ—შეი-ლის წერილი „სასიკვდილო მახე“, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია: „აუცილებლად უნდა დაარსდეს ქართული ეროვნული ბანკი, რომლის დანიშნულებაც უნდა იყოს თავადა-აზნაურობისაგან გამულების შესყიდვა და ქართველ გლეხებზედევ გაყიდვა“. მერე კიდევ: „იმ მემამულებს, რო-მელნიც მიწების გაყიდვას ეშურებიან, ვალად ედე-ბათ ცოტა აილაგმონ გაღვიძებული მაღა და დაუ-ცადონ სანამ შეკავშირებული ძალა ქართველ სა-ზოგადოებისა არ გამოსხებნის კარჩე მომდგარ უბედურების ასაცილებელ საშუალებას“. არ ვიცით სხვა მხრის თავადა-აზნაურობა ამაზე რას ფიქრობს და რაც შეგვეხება ჩვენ კახელ ზოგიერთ სსენატულ წოდების წარმომადგენელთ, უნდა გულ ახლილად ვთქვათ, რომ ახალი ბანკის დაარსება ძალის გვა-ხარებს, რადგანაც ვისაც უკვე დაგირავებული გვაქვს რომელიმე პანკში, მათი გადაგირავება ხელ საყრელიად შეიქმნება და ვისაც თავისუფალი, მის დაგირავებას ხომ წინ არა უდავა რა. მერე თუნდ ბანკია დაინარჩუნოს, თუნდ გლეხებს მიჰყიდოს, ოლონდ ერთი ფული მოგვეცეს, რომ მოვრჩეთ და მოვიცენოთ. რაც შეეხება იმას, რომ მოვიცადოთ — ეგ კი სწორე მოგახსენოთ ჭკვაში არ გვიჯდება. ჩვენ რომ ჩვენი საზოგადოების ჩვეულება ვიცით, ისინი ქართველურად, როგორც ყოველთვის საქ-მეს დააგვიანებენ და ფული კი ეხლაა საჭირო. ჩვენ ისიც ვიცით, იმ ბანკს გაზაფხულიადე ვერ მოასწრებენ და ჩვენ კი მერე რაღად გვინდა? ჭე-იფა და ლხინს გაზაფხულში აქვს შნო და ფასი. პო და თუ გაზაფხულადე მოგვასწრო ეგ რაღაც ახალი ბანკია, ხომ რა კარგი, თუ არა და ვინც შეგვხდება იმას მივყიდით გამულებს.. ქო-

თველობა-მართველობა ფეხებზე გვადო! თუნო ნაათალ ფასიდ იყოს მაინც გავყიდო შემოსი და ირიკავეთ! ზოგს ქვიფის საღელლელი ამ გა- მოუცდია და იმიტომ ამბობს, მოიცადეო. ჩეგლეტაძე.

**ცლავი.** შარუან წინ ცნობილი სოციალისტი (იმის წინად შავ რაზმში ნამყოფი) აქაური აზნა- ური ვანო დაქვიდიშვილი, რომელიც მუდამ წინა- აღმდეგი იყო ყველა მებატონეებისა, (თითქმის თავის თავისაც კი) განსაკურებით გიგ ერისთა- ვისა, დღეს საჭირო აცხადებს თავის ძელ ამხა- ნაგების გამოსაჯავრებლად: „მე გიგო ერისთავის მოურავი ვარ და ვაი თქვენ, ცლაველებო, თუ ჩემს ბატონზედ მეცაც მებატონეთ არ მიმოღებოთ“. მართლაც მე ვაებატონშა ამ მოკლე ხანში დიდი სიმკაცრე გამოიჩინა. რა უშავდა მკაცრს მებატო- ნეს გიგო ერისთავს!.. ის მაშინ გვახდევინებდა ღალას, როცა მის მამულებსა ვხნავდით და ცოტა ვადასაც მაინც გვაძლევებდა... ეს ახლად გამოცხობი- ლი ერისთავი მოპყვა, ბატონო, და ვისაც ამ სამი რთხი წლის წინად ჰქონია აღებული მიწა დასა- მუშავებლად და მას შემდეგ აღარც კი გაუვლია, ეხლა სუველა გამოტოვებული წლებისას ახდევი- ნებს, თუ იუცხოვე ასეთი უსამართლობა, მათრა- ხები და მისი ჯანი!.. ცემა-ტყეპა, ცხვირ-პირის დასისხლიანება ჩვეულებრივი ზომებია ჩვენი ბატო- ნი ამხანაგისაგან.

დაგვერევიან დიდის სახრეებით და მსხვილ ტარიანი მათრახებით და გააქვთ შლაპა-შლუპი!.. სად გეექცევი გადარეულ მამასახლისს და სტრე- ნიკებს!..

ეს დაფქვიაშვილი, ვთქვათ, რომ აზნაურია და ხომ მოგეხსენებათ კუდა აზნაურის კუდი არას დროს არ გასწორდება. თავისი დრო მათრახის ქნევაში გაუტარებია. მაგრამ გლეხებს რაღა ღმერ- თი უწყრებათ?! ისინი ხომ პოლიციისაგანაც შე- წუხებული იყნენ და არიან? აი, ავილოთ მაგა- ლითად სანდრო გიგაური, აღვილობრივი გლეხი: ყოველ წილში ვარ მაგრა კიქის გამოცლა- ზე ხმა-მაღლა ყვირის: „ძირს ჩვენი ხალხი, ძირს ერთობა გაუმარჯოს პოლიციის და მებატონეებსაო“. ძილან კი დახსომებია ამ ვაებატონს პოლიციისა, და მებატონეების პატივისცემა!..

ცველა ამისათვის გოხოდე მწვავე და ცხერე სატონო, ამ ორ ვაებატონს ამ-სცხეო ეგ თქვენი ნიშადური და ეგების თქვენდა სადღეგრძელოთ გამოსწორდენ... სულ კი არ დახარჯოთ თქვენი ნიშადური, თორუებ დავიღუპებოთ; კიდევ ბევრი გვყავს, ბატონო, სანიშადურენი!

მოხვენელი კ. მოსულიშვილი.



(წმ. ნინოს აღსრულების გამო 14 იანვ. 341 წ.)

### შიათურა. აქაური რამე-რუმე.

(წყრილი ჭიათურიდან ჩხარში).

ამხანაგო სილიბისტრო!.. დიდი ბოლიში ჩემი  
ძამია, რომ აგერ ერთი თვე გადაშლიგინდა და  
ერთი წერილი ვერ მოგწერე; მარა სულ ჩემი ბრა-  
ლი არაა, ჯერ ერთი რომ საერთო კრიზისია, შავ  
ქვას ფასი არ აქვს—მეორე ჯერ-ჯერობით კარგად  
არ ვიცი მარკების წმენდა, მაგდენად კლასოვანი  
არა ვარ...

პირველად ყოვლისა გისურვებ წინ სვლას და  
წარმატებას... ეხლო იმედია ჩ. მს ამბავს და აქაურ  
რამე-რუმეს იყითხამ ღვთით და ფილიბეს წყილო-  
ბით ქე ვარ შენგნით მოძულებული...

რაც შეეხება აქაურობას ნულარ იკრთხამ, ჯო-  
ბია და გრძელებები, მაგრამ არა, ცოტას გაგიზირებ...  
ხო დევიწყოთ „ბალნიციდან“, კი შენ დაგემარ-  
თოს კაი ბალნიცა სიეზდს ქონდეს, მარა მიღებას  
არ იტყვი?! სიმონმა თუ არ სოქვა, ღრუბენატორიც

ვერ გიშველის, არ მიგიღებენ... ვისთვის ააშენეს  
ნეტა!!!

რაც შეეხება ტელეფონს არშიყობისთვის  
არის გამბული—ჯერ ჯერობით ერთ პრაპორჩიქს  
აქვს არენდათ აღებული...

აბანო ხომ სამარგალოტოა... მარა თუ ჭიორ-  
გიმ გეიფიცა—ზანგათ იქცევა აქაურობა...

ელექტრონის სინათლეს ნულარ მკითხავ, ღა-  
მის მაგიერ ერთგულობით დღისით ანთებენ...

ეხლა თრიაჭი დედავ! რავა გადახალისებუ-  
ლია იქაურობა, შარშინდელს ბევრად სჯობს,  
არტისტები (უფროსი კომედიის კით) და სცენის  
მოყვარები... მარა ამ უკანასკნელზე ნულა მკით-  
ხამ... დღე არ ვავა, რომ არ ვაიფიცნონ პირადი  
ინტერესების გამო... იგიც ქე თამშობს „წყარო-  
ში“ რომ ჩეიწერა თავი, სცენას თავი დავანებეო,

რეკლამისტები არიან ეს-დეკრები და აქანე ეს და-  
ლოცვილები კველაზე შეტია...

ერთი კაი ქნეს: ძველი პრისტავი რომ გადი-

ყვანეს, ყვირილი და სტაჟნიკი ვა მნი! აღა ისმის თეატრის დარბაზში...

ცარცვა-გლეჯამ ქვე იმატა: ერთ ურიას ოთხი ათასი ააძრეს...

თუ წამოხვიდე ჩემო სილიბისტრო, ფული არ წამოილო, სადილ-ვაჭამი აქაურ სასადილოში ნოვესთან უფასოთაა...

გზები კაია: თუ სტანციაში მიხვალ—გაყინული თუ არ არის, არშინიან ტალახში სტუნტრავთავს, თუ გაყინულია—კისრის ტეხა მაშინ ნახე...

მიღი სტანციაზე თუ პლატფორმაზე გაჩერდი—პრიკლადებით აგიჭრელებენ ზურგს და თუ შორი ახლოს დადექი—სიცივე და ყინვა კრიმანჭულს გათქმევინებს...

აქვე გაზეობებიც იყიდება; დიდი გასავალი აქვს ლაბლვა-გინების ორგანოს „ეშაკის“... უკაცრავად ასე უძახიან „ეშაკის მათრახს“, შემოსევიან მეგაზეთეს ბიჭები—„კირილე დღეს არაფერია ჩვენზე? ეკითხებიან ხან ერთი და ხან მეორე; დღეს არა, მარა შემდეგში იქნება, ერთი გროვა მაქს გაგზავნილი, მაინც ცოტაა!! ასეა ჩემო სილიბისტრო, აქანე „ეშაკის“ წარმომადგენელი მეგაზეთე კირილეა...

მართლა, კინალამ დამავიწყდა „Франція“-ში ვიყავი ვახშათ, ნეტამც არ წაესულვიყავი! თავ. ანდრო იერეშით მივიდა კუნიაკის და არყის ბოთლებზე, მეორე დღეს რომ გენახა იტყოდი ლეკის ჯარს აუკრებდია აქაურობაო. თურმე ასეა ყოველთვის „ჭამენო, სვამენო და მერე ჩხებით ათავებენო“, ეს ევტროპის ტერმინია...

ჯერ-ჯერობით კმარა, ამხანაგო, წერილი უნდა გავათავო, ჭიქაურაში მიმეჩარება ანტონას ვახშამი აქვს სცენის მოყვარეთა პარლამენტში წარმომადგენლად რომ აირჩიეს...

ბევრს მოგწერ შემდეგში... ბევრი მიკოცნე აფხანია პაშას, კბილის მძრობელ გორას და ქ-ნ იშხნელს.

შენი კაი მეგობარი „ბიჭი-ბიჭი“

ჭკუზე მოვიდეს და მუშების დახმარება სტუნტრავლი დაიწყოს, თორემ მუშების დახმარება შემდება იქნება.

— ამას წინეთ საღამოს 6-ს საათზე, როდესაც ნიშადურის წვეთები ყველას მიღებული ჰქონდა იღრესის დაგვარად, ასკ. პროკოფიას გამოუცხადეს სამსახურიდგან გადადგომა, სადაც იგი მსახურებდა. ამ სასტიკი გადაწყვეტილების მიზეზი ის ყოფილა, რომ პროკოფიას აბრალებენ ნიშადურის ამოცებას. ჯერ-ჯერობით საქმე შეჩერებულია ოვის დამლევამდე. ასკ. პროკოფია ეფიცებოდა, ღმერთი, რჯული, მარქსი და ენგელსი!.. მე ასკანელი ვარ და არა რიონელიო, მაგრამ ფიცს არ უჯერებდნენ და ასე უგნებოდნენ: შენ მაინც ზედმეტი ბაზე ხარ აქ და უმჯობესია მიბრძანდეო. ამნაირად იმოქმედა იმ გასულ კვირის ნიშადურის წვეთმა ერთ ალავას და სხვაგან კი ვისაც მიეწვეთა ზოგი ვაის გაიძახის და ზოგი უის!.. მართლია ზოგნი თავს იმით იმართლებენ, რომ მავნაირ ბიჭ-ბუჭების ამოცებული ნიშადური არ არის საწყენიო და ის კი არ შეუგნიათ რომ ბიჭ-ბუჭების ამოცებულ ნიშადურს 200%-ით სიმწვავე მეტი აქვს.

#### რითელო.

**ზოთი. ეპისტოლე.** ღრმად პატივცემულონ ნიშადურის გამწერილებელო! ნება მომეცით ორიოდე სიტყვა ესთება ნიშადურის მე 17-№ შესახებ. ამ ნომერში ფოთის მოამბე „რიონელი“ ნიშადურს სცებდა ბ-ნ ვადაჭკორიას, მიტომ რომ სტამბას ღმის 11 საათამდე არ კეტამსო. ამან ბ-ნი ვადაჭკორია ძლიერ გააბრაზა და ეჭვი ჩემზე მოიტანა რაღვან, შენს მეტმა არ იცოდა თუ მე სტამბას ღმის 11 საათამდის არ ვკეტამდიო. უსათუოდ შენ ამომცებდი ნიშადურსაო. დღეიდან შენ იღარა ხარ საჭირო აქო და საღაც გნებავს იქ წაბრძანდიო. მე ვეფიცებოდი, ღმერთი, რჯული, ხატი, წმ. დავით და კოსტანტინე მე ასკანელი ვარ და არა რიონელი თქო, მაგრამ მაინც ვინ გიჯეროდა. ჯერ არა, და ამ თვის დამლევისთვინ მგონი შემაყოლებიებენ. უფიქრობდი ამ საახალწლოთ ჩიჩილაკს ვიყიდი და სახლში წავიღებთქო და ამ დალოცვილმა ნიშადურის მეტის მეტმა სიმწვავე ჩიჩილაკის ფული კი არა გზის ფულსაც ამაცდინა. მგონი ნალთაყვის გზით მომიწიოს წასვლა ფეხით. ცხონნბული გაზ. ეკალი სწერდა ნიშადური გალა გამოდგაო და გალა კი არა სიმწვავეში ქიზაფსაც კი აქარებს. დასასრულ გოხოვთ ნიშადურის გამწერიგებელ რედაქტორო შემდეგისად თუ მოვითხოვო ნიშადური ვინვების ამოსაცებად ნუ დაზარებთ და გამომიგზავნეთ სადაც ვიქმნები.

პატივცემით ასკანელი პროკოფია.

**ზოთი. აქაური რამე-რუმე.** კუხალეიშვილმა კვახე უარი ვანუცხადა გუბერნატორს ქუთაისში გადასვლის შესახებ განსვენებულ აბშილავის ალაზე. მას ასე უთქვამს გუნერნატორისთვინ: ვინც გადაიყვანეს რა ხეირი დააყარეს, მე რომ გამაბედნიერონა...

— ვიღაც ჩიქოვანისტმა აქ უმუშევრად დარჩენილ მუშების დახმარება მოიწადინა, მაგრამ მიმისთვინ საჭირო იყო მუშების ერთი მეორის შეტაკება და ეს მან ველარ მოახერხა და კუდამო-ძუებული გაუდგა გზას და თუ კიდევ ჩამოვიდა, მაშინ საჭირო იქნება ნიშადურის ამოცება, რომ

### 306 არის დამნაშავე?

(ზღაპარი მართალ ამბავზე).

ერთ ერას რაიონის კასირს რევიზია უკვე! .  
არ აღმოჩნდა 300 მან.

კასირმა თავი იმით იმართლა, რომ მუშა ა.  
თავ—ძემ სამი დღის წინედ ეზოში გაიარა და რა-  
ღაც ჯალოსნობით დაკეტილ კარებიდან და ყუთი-  
დან ამომაცალა ხსენებული ფულით.

აფრინეს კასირის დაქაშებმა თვისნი მჟავარ-  
ანგელოზები, ზედ მიაყოლეს მარჩიელი თუ მკით-  
ხავი და ხსენებულ მუშა თავ—ძეს მოსთხოვეს ინ  
300 მან. უკან შემოეტანა კასაში ან არა და მო-  
გელის შიში და ცოცხლებიდან გამოიშვაო.

რა თქმა უნდა, რაც მუშას არ წაედო, რაღას  
წარადგენდა. იწყეს თათბირი და ხელოვნურად  
მოხდენილ ბურუსში გამოირკვა, რომ ფულის გა-  
ფულანგვაში თვითონ კასირს მიეღო დიდი მონა-  
წილეობა თავის „აფხანიკებით“.

მუშა ა. თავ—ძემ იწყინა საწყენი ცილის წა-  
მება და სამედაცორო სამართალი აირჩია სიმარ-  
თლის ასაღენად, მაგრამ კასირი უარზეა, რის სა-  
მედიაცორო სამართალი, როცა „მარჩიელმა“ და  
„კომისიამ“ უკვე აღიარეს, რომ ფული შენგან  
არის გამჭრალიო.


მუშა ა. თავ—ძე სამართლიანად გაიძახის:  
თქვენ თუ წმინდა სულები ხართ, რატომ გაურ-  
ბიხართ სამედიაცორო სამართალს, თუ მე ვარ  
მტყუანი—გამამტყუნებენ, თუ კასირი—იმას მოს-  
თხოვენ ფულსაო.

კასირი და მუშა ვერ მორიგებულიან.

ეხლა ერთი ღა საშუალება დაგვრჩიმია—ეს  
ავზავი „ნიშადურის“ უფრცლებზე გამოქვეყნდეს,  
რათა ნათელი მოეფინოს ამ საქმეს და 300 მანე-  
თი აღმოჩნდეს.

იმედია „ნიშადური“ თავის თვისებას არ დაი-  
ვიწყებს და ცოტათ მაინც უცხუნებს ამ ვაჟბატო-  
ნებს და გამოარკვევს ხელოვნური ბურუსიდან და  
იმას გარდა რომ ფულის გამფლანგველი აღმოჩ-  
დება ჩვენც დაგვამშვიდებს მუშა ხალხს.

კარხნის მუშა.



### ს ა ხ უ ა რ მ.

(კითხვა-პასუხი)

- მგონი თქვენი „არშინი“ მოკლეა?!
- მართალია, მაგრამ სამაგიეროთ განიერია.
- ლიზა რამდენი წლისა ხართ?
- ოცისა.

— თქვენი უშერძლი და თამრო?

— ოცდა სამისა!?

— ბ-ნო ექიმო, მე ვგრძნობ რომ რაღაცა მაქვს  
თვში?!

— მე თქვენ გარშმუნებთ, რომ სრულებით არა-  
ფერი არა გაქვთ რა თვში.

— მიკვირს თუ რათ დაიარებით ვეჩერ-ბალე-  
ბში რადესაც ცეკვა არ იცით??!

— მართალია, ცეკვა არ ვიცი, მაგრამ სამაგიე-  
როდ ჭამა ვიცი.

— რომელი უფრო სასარგებლოა მთვარე თუ მზე?

— რა საკვირველია მთვარე, მზე დღისით ანა-  
თებს ქვეყანას და დღისით უმზეოთაც სინაოლეა,  
ხოლო მთვარე ღამით, როცა ბნელი!

— ღმერთმა კაცს რისთვის მისცა ყურები?

— იმისთვის რომ ქუდი თვალებზე არ ჩამოეფ-  
ხატოს!..

— რა განსხვავებაა ვირსა და კაც შორის?

— ვირს კაცა არ ასახელებენ, მაგრამ კაცს კი  
ვირიად ხშირად იხსენიებენ...

გრი—გრი.




### „მუაკი“ და მკითხველები.

— ნეტა რა მკითხველები ხართ, რომ არ მა-  
ფისებთ პოეტსა,

ქანქანს სამყოფსა არ მაძლევთ, თითო ოროლა  
გროშს მეტსა?

— ჩემო საბრალო, ეშმაკო, კუდს ტყულა იქნევ  
ქანქრისთვის  
შენი ბრალია: შეგვზიზდი ურცხვი და უშნო  
ლანძლვისთვის.  
მონადირე.



### გ ა მ რ ც ა ნ ა

(ვუძღვნი მაზრის მოხელეს)

სულ ქუჩაში დაწანწალებს, ეტყობა რომ ცეტია.  
დარაჯები ბლომათა ჰყავს, ერთ დუუნზე მეტია.  
გარეშემო ღრენით დასდევეს თორმეტამდე მგელია.  
შუაში თვით დაცუნცულებს, გაიძვერა მელია.  
ბლომად უნდა ნიშადური მას საცხუნებელია  
ისე მისი მოშორება, დიახაც რომ ძნელია!

ზაბუსტა ქ—იანი.



ჯაროველი მწერლები და მოღვაწენი.

სომხური ხელოვნება.



გიორგი წერეთელი  
(კარლავიცალა 12 იანვ. 1900 წ.)

გარდაცვალებიდან 110 წლის გამო



მეფე ერეკლე II († 11 იანვ. 1798 წ.)

### ამ დროინდულად.



მასწავლებელი. ქადაგი, ან დამისახედეთ როა  
მედიმე შროვესითნალური ქავშირი?

მოწავე ქალი. (წამოსტება თა წარბეჭუსრელად)  
ოთვაშმოთა!

— ?!

ელექტრომძეჭდავი ამხ. „სორაპანი“ მაღათვების კუნძული სახლი მუხრანსკისა, № 1.



შესითბო ქალი, საციანი ჩიმიშვილი.  
(† 27 დეკემბ. 1907 წ.)

### ვ ა მ თ ვ ა ნ ა.

ეშმაგის კურძით გამსდერა, კუმაშური და ნეზიანა.  
ოთმეთ ვარაზეც მოღის, მეგვარა და ბრაზიანი..  
სამსიათ დაბადებულაა, დღეს ქართველ არ აზრიანა.  
სედლ მგონა თაროს დ აქცეს, კი ცხრა რეგულა აზნიანა.  
ანნელობის, ერთობ გაჭაბადის, გოთ ადქანი და აუთარი.  
შირა სარგებლობისათვის, მზად აქცეს სხვისთვის ხრი-  
| კი-ჟარი.

უცილოდობის ჩემი ხვალი, კი ეშმაგზედ გადამზდარი.  
და ზრდილობის შაბლონზედაც არის მეტად გადამცდარი.  
რა უყოთ, რომ ცოტა უქრის, დაბნევის მით დაკარა.  
ერთვერ „ნაშობის“ ცხრაფერ უდის, კი ცხრა რეგულა  
| და ცხრა გბარი.  
კედებებში დანაგარდობის, მწერლობაში უტიფარი,  
და ბრდებაში „ზერინცაში“ თითით საჩვენებლად არა.

№ 13.



სამართლში გამოწვევა. (წერილი რედაქციისაღმი)  
ბ-ნო სიკო! გთხოვთ ნამშვილი სახელით გამორჩეთ და გა-  
მოხვიდეთ საქედაგორო სამართლში, რაღაც ცილსა მწა-  
მებთ, როცა სწერთ, ვოთომც მე, ტურას „გლეხის ნაბიჯის  
ამს.“ ფული შემეკამოს (იხ. ნიშანური № 16).

ჩემის მხრით მედიატორებით ვასახელებ ისევ ხაზმე-  
ლებს,—რადგან „გლეხის ნაბიჯის ამს.“ უმრავლესობა ხაზ-  
მელები არიან, რომელთაც საქმის გარემოება კარგად იციან  
—სიმონ ნახუცაროვს (ბეროიჩის), დათა ჭუაძეს და დიმიტრი  
გოვნიერს. ვადას გაძლევთ იანერის ოცდახუთმდე.

განო მაისურაძე „ტურა“.

### რედ-გამოცემები ვალერიან გუნია.

13 იანვარი.